№ 92. 2 მაისი, პარასკევი 1866—1880 2 მაისი, პარასკევი № 92

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლოთარსა რეუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტუსაღებისათვის

ტფილისი, 1 მაისს.

ამას-წინათ ჩვენი გაზეთის № 89-ში დაბეჭდილი იყო მეტეხის ციხის ეკლესიის მღვდლისა მ. Ივ. Ლომოურის წერილი, რომელშიაც პატივცემული ავტორი მგრძნობიარე სიტყვებით აგვიწერდა ტუსაღების მდგომარეობასა და იმათ მუდმივ თხოვნას, რომ საკითხავი რამ წიგნები მოგვეცითო. მ. Ლომოური ამ წერილით „კაცთ-მოყვარე საზოგადოებას“ მიმართავდა და სთხოვდა შემწეობას ხსენებულ ტუსაღებისათვის ბიბლიოთეკის გამართვაში. *)

Დარწმუნებული ვართ, რომ ხმა მ. Ლომოურისა არ დარჩება „ხმად მღაღადებელად უდაბნოში.“ Დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საზოგადოება, რომელსაც ყოველთვის გული შესტკივა უბედურთა და ბედისაგან დაჩაგრულთათვის, ამ შემთხვევაშიაც გამოიჩენს გულ-მკტივნეულებას და ცოტა რასმესი შეწირვით ეცდება შეუმსუბუქოს ტუსაღებს იმათი მძიმე ულელი.

ჩვენი დიდებული მასწავლებლის— ქრისტეს სწავლით, დამნაშავე და ბოროტ-მომქმედი კაცი ყველაზედ პირველად უბედური, ავათმყოფი ქმნილებაა. Ქანონი და საზოგადოება შურის-ძიებისა და თავის ჯავრის ამოსაყრელად არ უნდა სჯიდეს მას. Უბედურს და ზნეობით ავათმყოფს გამხნევება, დარიგება, სწორ გზაზე დაყენება, წამლობა ეჭირებაო.

Ასე ამბობს ქრისტე და ამაში იმას, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიაც, ახალი დროის გამოჩენილი მეცნიერნიც და ფილოსოფოსნიც ეთანხმებიან.

Და თუ ეს ასეა, თუ ტუსაღი და რომელიმე ბოროტების მომქმედი პირი ყველაზე უმალ ზნეობით, სულით და გონებით ავათმყოფი არსებაა, მაშ იმის მოსარჩენად, იმის განსაკურნებლადაც ამ ავათმყოფობის-და შესაფერი წამალი და ექიმობა ეჭირება.

Რა არის დაცემული ზნეობის წამალი? Რა განკურნებს დაბნელებულ გონებას? Რა მოუხდება სულით ავათმყოფს?—მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა დიდი ხანია გვიჩვენეს ამ გვარ სნეულების წამალი; ეს წამალი არის—ტკბილი სიტყვა, კეთილი დარიგება, კარგი წიგნები, სწავლა-განათლება და კაცობრივი მოპყრობა.

Გამოცდილებამ და ათასმა მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ტუსაღების სასტიკად დასჯა, დატანჯვა და წვალება ამ ტუსაღებს ვერ გაასწორებს, ვერ მოარჯულებს და სხვებსაც ვერ შეაშინებს; რამდენი მაგალითებია, რომ რომელიმე უბრალო დანაშაულობისათვის, ხანდის-ხან სულ ტყუილ-უბრალოთაც დაუტუსაღებიან ვინმე და როცა რამდენიმე წლის შემდეგ გამოუშვიათ სატუსაღოდამ, ეს კაცი მხოლოდ ამის შემდეგ გადაქცეულა ნამდვილ ავაზაკად და ბოროტ-მომქმედათ. Ყველას ეხსომება ის შემთხვევა, რომ როდესაც ორ ძმას Ყუზანოვებს აღრჩობდნენ Თფილისში ქურდობისა და ავაზაკობისათვის, იქვე, საღრჩობელასთან დაიჭირეს ერთი ვიღაც კინტო, რომელსაც ვიღაცასთვის ჯიბეში ხელი ჩაეყო და ფული ამოეცალა.

Მაგრამ მაგალითები და დამტკიცება არც კი ეჭირება იმ ჭეშმარიტებას, რომ სისასტიკე და მკაცრობა ვერავის ვერც შეაშინებს და ვერც გაასწორებს; რომ ერთად-ერთი საშუალება ზნეობა-გაფუჭებული, გზა-აბნეულის კაცის გასასწორებლად არის მხოლოთ სწავლა-განათლება და ზნეობით გაწრთვნა. Ამიტომაც განათლებულ ხალხებში ტუსაღების შესახებ ყველაზე უმთავრესად ამ სახსარს ხმარობენ: იმათთან მუდამ დაიარებიან სამღვდელო პირნი დარიგების მისაცემად, იმათ აქვთ ჩინებული ბიბლიოთეკები, სადაც ყოველ-გვარ კარგ წიგნებს იშოვნიან საკითხავად, ვინც არ იცის, წერა-კითხვას ასწავლიან და უეჭველად რომელსამე ხელობას, რომ როცა ვადა შეუსრულდებათ ტუსაღობისა და თავისუფალი შეიქმნებიან, შეიძლონ თავის სწავლითა და ხელობით პატიოსანი ლუკმა-პურის მოპოვება, შეეძლონ თავის დარჩენა პატიოსანის შრომითა და არა ცუდ-კაცობით, ავაზაკობით.

Ამ გვარი წესები ტუსაღების შესახებ რუსეთშიაც თან-და-თან შემოდის, რუსეთშიაც თან-და-თან ცდილობს მმართებლობა, რომ სისასტიკისა და მკაცრობის ნაცვლად, ლმობიერის მოპყრობით და კეთილ-ზნეობის, სწავლის ჩანერგვით მოარჯულოს ტუსაღები. Პეტერბურღში და რამდენსამე სხვა ქალაქებში, მაგალითად, ტუსაღებს სხვა-და-სხვა ხელობას ასწავლიან, და მცირე-წლოვან დამნაშავებისათვის გამართულია შკოლები, სადაც წერა-კითხვას, მეურნეობასა და ხელობას ასწავლიან.

Მთავრობას იმდენი არც შეძლება აქვს და არც ღონისძიება, რომ ყველგან, საცა კი სატუსაღოებია, გამართოს შკოლები, სახელოსნოები და ბიბლიოთეკები. Ამ შემთხვევაში თვითონ საზოგადოებაა მოვალე, რომ დაეხმაროს მთავრობას.

Ამიტომაც, ვიმეორებთ, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მ. Ლომოურის ხმა და მოწოდება, რომ საზოგადოებამ შემწეობა მისცეს იმას მეტეხის ციხის ტუსაღებისათვის ბიბლიოთეკის გამართვაში, ეს ხმა უდაბნოში მღაღადებელ ხმად არ შეიქნება. Იმედი გვაქვს, ჩვენს საზოგადოებაში ამოჩნდებიან იმისთანა პირნი, რომელთაც ესმისთ ამ ქველის საქმის მნიშვნელობა და თუ წიგნებითა, თუ ფულით მოისურვებენ მ. Ლომოურის ჩინებულის აზრისა და წინადადების განხორციელებას, დახმარებას. Ამ გვარ პირებს შეუძლიანთ თავიანთ შესაწი-

*) ავტორი ადგილობრივ გაზეთებს სთხოვდა ამ წერილის გადაბეჭდვას და თუმცა ჯერ არ გარდაუბეჭდიათ, მაგრამ იმედი გვაქვს, აქაური რუსული და სომხური გაზეთები შეუსრულებენ იმას ამ კანონიერ თხოვნას. რედ.

## ფელტონი

—

### პოზნანელი მასწავლებლის დღიურიდგან *)

(თარგმანი)

მიხაკოს ოჯახი ოდესმე ძალიან მდიდარი ოჯახი ყოფილა, მაგრამ სამშობლოს უბედურებამ მათი სიმდიდრეც შთანთქა და, რაც ჰქონდათ, იმის მეათედიც აღარ დარჩენიათ.

მიხაკო ყველაზე უმეცარი იყო ოჯახში და დედას უყვარდა იგი არამც თუ როგორც შვილი, არამედ როგორც იმედი და ნუგეში მომავალში.

საუბედუროთ, როგორც ყველა დედებს, მარიამსაც ეგონა, რომ მიხაკო დიდი ნიჭის პატრონი იყო. მართლაც, ბავშვი უნიჭო არ იყო და ეკუთვნოდა იმ ყმაწვილების რიცხვს, რომლების ნიჭი თან-და-თან გაიხსნება და წარმატებაში შევა. სხვა გარემოებებში მიხაკო კურსს შეასრულებდა და საზოგადოების სასარგებლო პატიოსან წევრათ გახდებოდა. Ეხლა კი ის წვალობდა და ფუჭათ ცდილობდა, რომ დედის იმედი არ დაერღვია.

Ბევრი უბედურება და განსაცდელი მინახავს, ამისთანაები არ მაკვირვებდა; მხოლოდ ის არ მჯეროდა — თუ შრომას, მეცადინეობას და ენერგიას შეეძლოთ ყმაწვილის დაღუპვა; ამაში რაღაცა ბუნების წინააღმდეგი არის, რაღაც გასაოცარია, და სიტყვებს რომ შეეძლოს ჩემი ჯავრის და სიმწრის დალბობა, მე განვიმეორებდი ჰამლეტის სიტყვებს:

„Ქვეყნიერებაში ისეთი მოვლინებანი ხდებიან, რომელნიც ფილოსოფოსებსაც არ დასიზმრებიათ“.

Ისე გულ-მოდგინეთ ვასწავლიდი მიხაკოს, თითქო მის ნიშნებზე იყო დამოკიდებული ჩემი მომავალი. მართლაც, მიზანი ორივეს ერთი გვქონდა: რომ მარიამისთვის სიცოცხლე არ გაგვემწარებინა. როდესაც ყმაწვილი კარგ ნიშანს მიიღებდა, მოდიოდა სახლში ბედნიერი, სახე-მომღიმარე; მე მეგონა, რომ მიხაკო იზრდებოდა ამ დროს, იმართებოდა წელში; ის იცინოდა სიხარულისაგან და თვალები უბრწყინავდნენ. Მაშინ მიხაკო მოიხსნიდა თავის წიგნებით გატენილ ბოხჩას და ღიმილით მეუბნებოდა:

— Ჰო! Დედას რა გაეხარდება! Აბა მითხარით რა მივიღე გეოგრაფიაში.

Და როდესაც მე ვუჩვენებდი სახეს, რომ ვერ მივხვდი, მაშინ ის მომვარდებოდა ღიმილით, შემომეხვეოდა კისერზე და ხმა-მაღლათ მეტყოდა:

— Ხუთი, ღმერთმანი, ხუთი მივიღე!

Აჰისთანა მინუტები ორივესთვის ბედნიერებას შეადგენდა. Საღამოობით მიხაკო მიეცემოდა ტკბილ ოცნებებს და ფიქრობდა იმ ბედნიერ დროზე, როდესაც ყველა საგნებში ჩინებული ნიშნები ექნებოდა და მეუბნებოდა: შობის უქმეებზე წავალთ Ზალესინოში, მოვა თოვლი და მარხილებით ვისეირნებთ; მივალთ სახლში ღამე, დედა ლოდინში იქნება, შემომეხვევა, გარდამკოცნის და მკითხავს თუ როგორ ვსწავლულობ. Მე განგებ შევხედავ მოწყენილის სახით, დედა კი წაიკითხავს ატესტატში: საღმრთო წერილში—ხუთი, ნემეცურ ენაში—ხუთი, ლათინურში—ხუთი და ყველა საგნებში ხუთ-ხუთი!..

Ცრემლები მოადგებოდა საცოდავს ყმაწვილს თვალებში, და მეც მაგონდებოდა Ზალესინოში დროს-გატარება და ის პატიოსანი ქმნილება, რომელიც იქ დაგვხვდებოდა; ვიხატავდი გონებაში იმ ბედნიერებას, რომელსაც მიანიჭებდა დედას შვილის ნახვა და იმის კარგი ნიშნები ატესტატში!

Მე ველაპარაკებოდი ყმაწვილს და

*) „დროება“ № 90.

რაითი მიმართონ ან პირ-და-პირ მეტეხში მ. ლომაურთან ან სატუსაღოს ზედამხედველთან და ან „დროების“ რედაქციაში.

## ახალი ამბები

დღეს, ხუთშაბათს, დილის 7 საათიდამ თითქმის მთელი ერევნის მაედანი მოფენილი იყო სპარსეთიდამ ახლად-ჩამოსულის სპარსელებით, რომელნიც პოლიციასთან მიჯგუფულიყვნენ და ერთი ყაყანი გაჰქონდათ; შემდეგ ეს ხალხი დაიძრა და ქალაქის გამგეობისაკენ წავიდნენ.

ქალაქის გამგეობა თუ მესჩანის უპრავა ამ სპარსელებს ჰქირაობდა კალიის გასაწყვეტად. სულ უკანასკნელი 1,500 კაცი იქნებოდა.

(გუშინდელ ნომერში მოხსენებული იყო, რომ ქალაქიდამ კალიის გასაწყვეტად ამქარი გაიყვანესო; რიცხვი შეცდომით ოცი ათასი იყო მოხსენებული; ოცი კი არა ოთხი ათასი უნდა ჰყოფილიყო).

* * *

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სეკრეტარი ივ. გ. ხატისოვი, რომელიც კალიის გასაწყვეტად არის ბორჩალოში და საზოგადოთ თფილისის მაზრაში მთავრობისაგან გაგზავნილი, გაზეთს „ობზორში“ სხვათა შორის იწერება, რომ ყველგან მხოლოთ გლეხი ხალხი და სალდათები არიან გამოსულნი მინდვრებში კალიის გასაწყვეტად და თავად-აზნაურობა კი არსად არ ანძრევს ხელს, არსად არ ცდილობს და არავითარ შემწეობას არ აძლევს ადმინისტრაციას კალიის გაწყვეტაში, თითქო ეს კალია მარტო გლეხებისთვის იყოს გაჩენილიო.

* * *

რადგან კალიის თესლისა და თვითონ კუტ-კალიის დასაწვავად ბევრი ნავთი იხარჯება, ამის გამო ამ ჟამად ნავთი გაძვირდა: გირვანქას, რომელიც ადრე 8-9 კაპეიკად იყიდებოდა, ახლა სამ შაურ ნაკლებ აღარ აძლევენ.

* * *

ამ აპრილის 15-ს ოდესსაში გარდაიცვალა თ. ვორონცოვის ქვრივი კნიაგინა ელისაბედ ქსავერის ასული ვორონცოვისა. მიცვალებულს იმდენი ღამსახურება აქვს ჩვენის ქვეყნის წინაშე, რომ არ შეიძლება არ ვაქოთ თფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა გარდაწყვეტილება, რომ იმის სულის მოსახსენებლად დღეს, პარასკევს, სიონის სობოროში პანაშვიდი გარდაიხადონ. ყველა ჩვენი ქვეყნის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლები (ზავედენიები) მიცვალებულის კნიაგინის თაოსნობითა და ხარჯით არიან გახსნილნი. თფ. წმ. ნინოს ზავედენიისათვის კნიაგინამ, სხვათა შორის, 100,000 მანეთამდინ შესწირა; ამგვარივე საქალებო სასწავლებლები კნიაგინამ გამართა აგრეთვე ქუთაისში, თელავში, ბაქოში, სტავროპოლში და ერევანში და თითოეულ ამ ზავედენიისთვის შესწირა ათას-ათასი თუმანი ფული.

* * *

ქართლიდამ გვატყობინებენ, რომ, ყარაიაზს გარდა, იქაც ამ მოკლე ხანში დიდ-ძალი ტარბი გაჩენილა და ძალიან ბევრ კალიას აფუჭებსო.

## ბ. სინაისკის პასუხზედ.

(წერილი რედაქტორთან)

გაზეთ „ობზორის“ № 480-ში დაიბეჭდა თფილისის სასულიერო სასწავლებელზე დროებითი ზედამხედველის ბ. სინაისკის პასუხი იმის შესახებ, რაც იმაზედ დაწერილი იყო „დროების“ № 84-ში და „ობზორის“ № № 463 და 472-ში.

რადგან ეს პასუხი ბევრად თუ ცოტად მეც შემეხება, როგორც „დროების“ 84 №-ში მის შესახებ დაბეჭდილის სტატიის ავტორს, ამიტომ ნება მიბოძე, ბატონო რედაქტორო, რომ მეც მოგახსენოთ იმის წინააღმდეგ ორიოდე ქართული.

ჩემს პაწია სტატიაში „თფილისის მაზრის სამღვდელოების კრებაზედ“ რომელიც „დროების“ 89 №-ში იყო დაბეჭდილი, ბ. სინაისკიზედ მე იმას ვამბობდი, რომ ის მეტად მავნე და საფრთხო კაცია-მეთქი სხვათა შორის იმიტომ, რომ ამ მოკლე ხანში თავის სამსახურისა ორი მოწაფე გამორიცხა და ერთიც სრულის ხარჯიდგან ნახევარზე ჩამოაგდო სულ ტყუილ-უბრალოდ. აი ახლა რას ამბობს ამაზედ ბ. სინაისკი თავის მრავალ-მნიშვნელოვან პასუხში.

„მე მამტყუნებენ მოწაფების გამორიცხვაში სასწავლებლიდგან არა რაიმე მძიმე დანაშაულობებისათვის, არამედ „სულტყუილ-უბრალოდ“, არაფრისათვის, ჩემის პიროვანი ქინისათვის. მართალია დროსა ჩემგნივ სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღსრულებისა (ორი თვეა) სასწავლებლის ჟურნალური დადგინებეებით გამორიცხულ იქმნა ორი უფროსის (IV) კლასის მოწაფე „ცუდი ყოფა ქცევისა და სწავლის უიმედობისათვის“, ხოლო ერთი მოწაფეც მოკლებულ იქმნა საეკლესიო საზრდოსა სისტემატიკური წარუმატებულობისათვის“ *).

სხვაც ბევრი ამისთანა წვრიმალი მიზეზები მოჰყავს ბ. სინაისკის თავის პასუხში, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ შეგვაცვლევინებს ის უწინდელ შეხედულობას ამ საგანზედ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თუ ცოცხალი პედაგოგიურის თვალით შევხედამთ ამ საგანსა, იმისთანა სასტიკ სასჯელს, როგორც გამორიცხვას, ვეჭობთ რომ ადგილი ჰქონდეს ამისთანა დაბალ სასწავლებელში, რადგან ახალ-გაზდა მოწაფეების გასწორება უფრო ადვილია. ამას ამტკიცებენ აგრეთვე ზოგიერთი გამოცდილი და ნასწავლი რუსის პედაგოგებიცა, რომლების აზრითაც ამისთანა უწყალო სასჯელი, როგორც გამორიცხვაა, შეიძლება მიღებულ იქმნას მხოლოდ საშუალო სასწავლებლებში და ისიც იშვიათ შეთხვევაში, როდესაც მოწაფის მორჯულება ყოვლად შეუძლებელი-ღა შეიქმნება. მეორეთ კიდევ იმიტომ, რომ არც ერთი ზემორე მოხსენებული ბ. სინაისკის პასუხი ვერ შეგვიძლიან, რომ შესაწყნარებელ საბუთად მივიღოთ:—თუ რომელიმე მოწაფე სწავლაზე გულს იცრუებს, ამის მიზეზს ჩვენ მის შკოლის გარეთ ცხოვრებაში კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ თავად შკოლაში. სწავლაში უკან ჩამორჩომა ისეთი მოვლენაა ყმაწვილის ცხოვრებაში, რომელსაც ის ყოველთვის გაისწორებს, თუ მაზედ გავლენას იქონიებს ვინმე ტკბილი და გონიერის სიტყვით, ანუ დარიგებით, და არა კბილების კრაჭუნით' თვალების ბღვრიალით, ფეხების ბრახუნით, „მრავალ-ჯერი მშიერის სტოლით“, მრავლ-ჯერი კარცერში ჩასმით“, „საეკლესიო საზრდოს მოკლებით,“ „აი თქვე ბურსაკებო“-ს ძახილით და სხვა ამისთანა ზნეობითად და ფიზიკურად ბავშვის დამამცირებელი და სასირცხო ნიშნის ქუდის თავზე დახურვით.

ესევე ითქმის შესახებ ბავშვის ყოფა-ქცევის გაფუჭებისაცა. რიგიანად განწყობილ სასწავლებელში ბავშვს ერთობ ცოტა დროება-ღა რჩება ეშმაკობისა და სხვა ამისთანა უსარგებლო მოქმედებისათვის. „კარგ შკოლაში, ამბობს ერთი რუსის პედაგოგთაგანი, ყოველისფერში წესია დაცული, არამც თუ მარტო ყმაწვი-

*) ჩვენ რამდენადაც ვიცნობდით და კიდევაც ვიცნობთ ამ მოწაფეებსა, არც ერთი მათგანი არა ყოფილა ისე ზნეობითად და გონებითად გაფუჭებული, რომ მათ სამართლიანათ დაემსახუროთ ეს სასტიკი სასჯელები.

ავტორი.

---

ვუხსნიდი, რომ დედა ზრუნავს არა მარტო იმის კარგათ სწავლაზე, არამედ—ტანმრთელობაზედაც, რომ მას არ უნდა ეტირა, როდესაც მე სასეირნოთ მიმყავდა და ძალ-დატანებით შრომას ვუშლიდი. ყმაწვილი, აღშფოთებული სიამოვნებისაგან, კისერზე შემომეხვევოდა და მეტყოდა: „კარგი, კარგი! მე კარგათ ვიქნები და ისე გავიზრდები, რომ დედა და ლელია ვერ მიცნობენ“.

მარიამისაგან ხშირად მომდიოდა მე წერილები; მეხვეწებოდა, რომ ყმაწვილის ტანმრთელობისათვის ყური მეგდო; მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, მე თან-და-თან უფრო-და-უფრო, ვრწმუნდებოდი, რომ შეთანხმება სწავლისა და ტანმრთელობისა იმდენათ შესაძლებელი იყო, როგორც მთვარეზე მოგზაურობა. შესასწავლი საგნები რომ ძნელი ყოფილიყვნენ-მე ამ დაბრკოლებას ადვილათ ავაცილებდი: მეორე კლასიდგან პირველში გარდავიყვანდი; მაგრამ ეს საგნები, თუმცა უფერულნი, იმას მშვენიერათ ესმოდა; საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ დრო არ ყოფნიდა გაკვეთილების დასასწავლელათ; უმთავრეს დაბრკოლებას შეადგენდა ნემეცური ენა, რომელსაც მიხაკო კარგათ ვერ ხმარობდა, რადგანაც ნემეცური ენა მისი სამშობლო ენა არ იყო. მე არ შემეძლო ამეცილებინა ეს დაბრკოლება; მხოლოდ იმაზე მქონდა იმედი, რომ მომავალ უქმეებში მიხაკო დაისვენებდა, ფიზიკურათ გამაგრდებოდა და შემდეგ სწავლა გაუადვილდებოდა.

მიხაკო რომ გულ-გრილი ყმაწვილი ყოფილიყო, მე იმაზე მაინცა-დამაინც ბევრს არ ვიზრუნავდი; მაგრამ ერთობ გულ-მხურვალეთ მიიღებდა უბედობას, ვინემ ბედს. სიხარული ხანგრძლივი არ იყო. გიმნაზიიდგან როცა დაბრუნდებოდა, მისს სახეზე წაიკითხავდი ხოლმე—თუ რა ნიშნები მიუღია.

— შენ ცუდი ნიშანი მიიღე? ვკითხავდი.

ცუდი.

— როგორ, გაკვეთილი არ იცოდი? ხანდის-ხან მეტყოდა, რომ არ ვიცოდიო, მაგრამ უფრო ხშირად მიპასუხებდა:

ვიცოდი, მაგრამ ვერ მოვახერხე თქმა ნემეცურად..

მართლაც, მიხაკოს ამხანაგი, პირველ შაგირდი კლასში, რომელიც მომყავდა მისთვის, რომ მიხაკოსთან ერთად ესწავლა, მეუბნებოდა: „მიხაკო იმიტომ იღებს ცუდ ნიშნებს, რომ გამოთქმა არ შეუძლიაო.“

თან-და-თან ყმაწვილი სუსტდებოდა ფიზიკურად, და თან სწავლა უარესად მიდიოდა. მე შევატყვე, ჯავრს რომ ტირილით ამოიყრიდა, ის მიუჯდებოდა უფრო მტკიცედ და მშვიდათ გაკვეთილებს; მაგრამ ეს მშვიდობიანობა სასოწარკვეთილებას მოგავდა. ხანდის-ხან ყმაწვილი მიიკუნჩხებოდა კუთხეში, თავზედ ხელებს შამოიქირებდა და გაჩუმდებოდა; დატანჯულ ბავშს ეგონა, რომ დედას სამარეს უთხრიდა და არ იცოდა, როგორ გაექარწყლა ტანჯვა და ჯავრი.

ბოლოს, ღამის თევა თან-და-თან გაახშირა და, რადგანაც ჩემი ერიდებოდა, ადგებოდა ნელა, წაიღებდა ლამპას წინა ოთახში და იქ სწავლობდა. სანამდი მე ამას შევიტყობდი, ყმაწვილმა რამდენიმე ღამე გაატარა ცივ ოთახში. ერთიღა საშუალება მქონდა: შემოვიხმობდი ოთახში, გავამეორებინებდი ყველა გაკვეთილებს დასარწმუნებლად, რომ კარგათ იცოდა და რომ ტყვილად იცივებდა თავს.

მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს თვითონაც არ ესმოდა-რა იცოდა და რა არ იცოდა. ყმაწვილს გამოელია ჯანი და ძალა, გაყვითლდა, ძვლის და კანის მეტი არა იყო-რა. თანაც დავრწმუნდი, რომ სწავლას გარდა რაღაც სხვა უგლეჯდა მას გულს და უმწარებდა სიცოცხლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების ცხოვრებაში, არამედ მთელ მათი შკოლის მოწყობილობაში. აქ ყველაფერი თავ-თავის დროსა და ადგილას რიგდება; სულ ყოველისფერი წინათვეა განხილული და მიმარჯვებული სწავლა აღზრდის წარმატებისადმი. არაფერი არ აძლევს მოწაფეებს უწესოებისადმი შემთხვევას და არაფერი არ აშორებს მათ ყურადღებას სწავლასა.“

ახლა ვიკითხოთ: არსებობს თუ არა ამისთანა წესი Თფილისის სასულიერო სასწავლებელში? Თქვენ მტერსა და დუშმანს, რაც ეხლა აქ წესები სუფევენ. Თუ რა სამწუხარო მდგომარეობაში იყო ეს სასწავლებელი ბ. სინაისკის წინა-მოადგილეს ხელში, ამაზედ თავის დროზე ბევრისაგან ბევრი იბეჭდებოდა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში; მაგრამ ამ ბ. სინაისკიდამ კიდევ ლამის სულ ბოლო მოელოს ამ ბედ-კრულ სასწავლებელსა, როგორც თავის მოუმზადებლობით ამ მაღალის თანამდებობისადმი, აგრეთვე თავის შფოთიანი ხასიათით, რომელმაც ერთი განხეთქილობა დაბადა ამ სასწავლებლის მასწავლებლებ შორის და სულ მთლად დაარღვია მათ შუა „ერთობა,“ რაც მეტად საჭიროა სასწავლებლის კეთილ ნიადაგზე დაყენებისათვის

Თუ რამდენათ სასარგებლო იქნება სასწავლებლისათვის ამისთანა თვისების მექონი მმართველი და წინამძღომელი, ეს თვითონ მკითხველმა და მომავალმა Თფილისის მაზრის სამღვდელოების კრებამ განსაჯოს.

გამაფრთხილებელი.

---

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ
## ᲢᲤᲘᲚ. ᲒᲣᲑ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲗᲐᲜ

რასაკვირველია, ბატონებო, გაზეთებიდგან შეიტყობდით გორის მაზრის თავად-აზნაურთა გარდაწყვეტილებას ჩვენი შვილების აღზრდისთვის ფულების შეწირვაზე. გორის მაზრამ გამოაჩინა, რომ ქართველობას არ სძინავს, რომ ის აფასებს სწავლა-განათლებას, რომ იმან უკანასკნელ წამში მიმართა სწავლას, როგორც მხსნელს თავის შეჭირვებულ ცხოვრებიდგან.

რადგან შეერთება საჭიროა, რომ საერთო გიმნაზია გავმართოთ, თქვენც, ჩვენო დანარჩენო ძმებო, ამ კეთილ, საშვილი-შვილო საქმეს ხელს არ მოუცრით და ჩვენთან ერთის აზრისანი იქნებით, რადგან ყველანი საერთოდ ერთ ტაფაში ვიწვით, რადგან ჩვენს საცოდავ შვილებს შეკრული აქვთ გზა სწავლისა ჩვენის შეუძლებლობისა გამო.

ჩემის აზრით, უმჯობესია მეტი დრო აღარ დავჰკარგოთ და თქვენც ერთ-ხმათ შეუდგეთ ამ კეთილი საქმის შესრულებას. Თუ Ტფილისის მაზრა არ მოინდომებს, ჩვენ ნუ მივხედავთ, ამიტომ რომ ამ მაზრის თავად-აზნაურებს დაახლოვებით აქვთ სასწავლებლები, დიდი ხარჯი არ მოსდით შვილების მიყვან - მოყვანით; ნათქვამია: „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“.

Თუ რომ ჩვენ ერთმანეთს მიუდგებით, უარს არ გამოვაცხადებთ, მაშინ ჩვენი საქმე გაიჩალხება: ერთობას ბევრი რამ შეუძლიან. Იმედია, ამ კეთილ საქმეს თქვენში არ ამოუჩნდებიან მოწინაალმდეგენი.

გორის თავად-აზნაურთა კრებაში ზოგიერთნი, სხვის სიამოვნების გულისთვის, უქადაგებდნენ, რომ სამუდამოთ დავიღუპებითო, ხარჯს ვეღარ ამოუვალთო. მე დიდათ მიკვირს! სამუდამოთ, საუკუნოთ სიბრიყვეში, სიბნელეში ყოფნა რა საქადაგებელია!? სწავლა-განათლება დაგვღუპავსო და გაუნათლებლობა კი აგვაღორძინებსო—ასე გამოდის იმათის თქმით. მიკვირს; ჩვენი შვილები ვის უნდა დავამწყრალოთ? ვისი ვალია იმათი გამოზდა? ჩვენია; მაშასადამე ყველამ თვითონ უნდა გამოვზარდოთ და არა დავზოგოთ-რა, რადგანაც ჩვენი მომავალი შთამომავლობის ავ-კარგიანობაზეა დამოკიდებული ჩვენი ბედი და უბედობა, ჩვენი გონებითი და ზნეობითი ძალა, საქართველოს ბედნიერება, კეთილდღეობა და სხვ.

ვსთქვათ, სწორეთ ხარჯი იყოს, რა დიდი გადასახადია: ხუთი მანეთიდამ თხუთმეტ მანეთამდე წელიწადში. Ამ მცირე შესაწირავს რას შეუშინდებით; ძალიან ადვილი მოსაშორებელია: ვისაც რა შეხვდება ერთბაშათ მოიშოროს და მორჩეს, ან თუ ერთბაშად ვერა, სამ ნაწილად შემოიტანოს მთელხვედრი ფული, რომ აღარ იყოს მოვალე და აღარცვინ მუდამ შეაწუხოს. მე რომ ვალი მემართოს და გადავიხადო, მეორეთ ხომ ველარავინ გადამახდევინებს. Ეს საქმეც ასეა; მაგალითად: ალბათ, ვისაც ხუთი მანეთის გადახდა შეხვდება, იმის შეძლებაც ექმნება, რომ ასი მანეთი შეიტანოს ბანკში, სადაც ექნება ხუთი პროცენტი, და შემდეგ ისევ სუფთა „კნიაზათ“ დარჩება და შკოლაც გამაგრდება.

Კომიტეტის წევრებმა ყველას უნდა ძმურათ სთხოვონ, რომ ერთბაშათ შეიტანონ, ვისაც რა შეხვდება. რომელსაც ერთბაშათ არ შეუძლიან შეტანა, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, გაუყონ რამდენადმე, რომ შეღავათი მიეცესთ.

Აბა, სხვა მაზრების ქართველებო, დააჩქარეთ თქვენც შკოლის საქმე, რომ დაუმტკიცოთ ერთობით ყველას, რომ ძველებურად ერთმანეთს გაჭირვებაში ხელს ვაძლევთ საერთო საქმის აღსადგენელად. ხომ იცით, ჩვენს დავარდნილ ცხოვრებას არ ეგვიანება-რა!..

Დავშთები თქვენი მონა და სხვ.

თ. ნ. ჴიასამიძე.

24 აპრილი, გორი.

---

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

Უზენაეს ბამგე Კომმისიის Უფროსს ამ დღეებში გამოცხადებულ Უზენაეს ბრძანების თანახმად განკარგულება მოუხდენია, რომ განიხილონ იმ პირთ შესახები საბუთები, რომელნიც პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფებიან და საპატიმროში სხედან. „*St.-Peterb. Herold*“-ის სიტყვით იმ პირთა რიცხვი, რომელნიც განთავისუფლებულ იქმნებიან Უზენაეს ბამგე Კომმისიისაგან პოლიციის მხედველობიდგან 6,000-მდე მიაწევს.

---

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

**ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.** Მოგვყავს სრული სია ბატ. გლადსტონის ახალ სამინისტროის (კაბინეთის) მინისტრებისა, და ზოგიერთ უმაღლეს მოხელეთა სახელგვარნი: „ხაზინის პირველ ლორდად და ფინანსის მინისტრად არის—ბ. გლადსტონი; ლორდ-კანცლერად—ლორდი სელბორნი; საიდუმლო საბჭოის თავს-მჯდომარე ლორდად—გრაფ სპენსერი; „დამცველ-ლორდად დედოფალის საკუთარი ბეჭდისა—ჰერცოგ Არგაილი; შინაგან საქმეთა მინისტრად (სტატს-სეკრეტრად)—სერ ვილლიამ ჰარკორტი; Ინდოეთის საქმეთა მინისტრად—მარკიზ ჰარტინგტონი; საახალშენო (საკოლონიო) საქმეთა მინისტრად—გრაფ Კიმბერლეი: სამხედრო მინისტრად—ბ. ჩაილდერსი; ზღვის მინისტრად—გრაფ ნორზბრუკ; მთავარ სეკრეტრად Ირლანდიის საქმეთა—ბ. Ფორსტერი; Ლანკასტერის საჰერცოგო კანცლერად—ბ. ბრაიტი; ადგილობრივ დეპარტამენტის პრეზიდენტად (თავმჯდომარედ)—ბ. Დოძსონი და საალებმიმცემო დეპერტამენტის პრეზიდენტად—ბ. ჩემბერლენი. Ეს თოთხმეტი პირნი შეადგენენ სამინისტროს (კა-

---

Ერთხელ მე ვუკითხავდი იმას ისტორიას, „რომელიც ბიძიამ უამბო თავის პატარა ძმისწულებს“ (ამაზე მიხაკოს დედის ნება იყო). Კითხვის დროს მიხაკო უეცრად წამოხტა, შემოიხედა გაცეცხლებულის თვალებით და შემომძახა:

მაშ ეგ მართალია? ზღაპარი არ არის? Თორემ!..

Თორემ რა? ვკითხე მე გაკვირვებით. Იმან პასუხის მაგიერ დააკრაჭუნა კბილები და დაიწყო ქვითინი, რომლის მოსპობა მე ვერ შევძელი.

მე მინდოდა გამეგო—რა იყო ბავშის აღელვების მიზეზი იმის ამხანაგისაგან; მაგრამ იმან არ მითხრა, იქნება არ სურდა თქმა; მაგრამ მე უიმისოთაც გავიგე ნამდვილი მიზეზი:

მიხაკოს ბევრი იმისთანაები რამ ეყურებოდა ნემეცურ გიმნაზიაში, რაც აღელვებდა იმის ქორფა აზრებსა და გრძნობას; მასწავლებლებლები და თვით პატარა ამხანაგებიც კი იმის სამშობლო ენას, ისტორიას, ერთი სიტყვით, ყოველისფერს, რისიც სიყვარულს და პატივისცემას უნერგვიდენ მასთავისიანები გულში,—დასცინოდნენ და ცუთათ იხსენიებდნენ. Სხვა ყმაწვილებისთვის, შეიძლება, ამისთანა გარემოებას ჩაენერგა გულში მხოლოდ ზიზღი და სიძულვილი მასწავლებლებისადმი; მაგრამ მიხაკოსთანა ნაზ ქმნილებას კი გულს უჩაგვრიდა, მას არ შეეძლო წინაალმდეგობა; ბევრჯერ უნდოდა ჩხუბი, მაგრამ თავს შეიკავებდა, კბილებს შეკრავდა და ჩუმ ტანჯვას მიეცემოდა.

Ამ ნაირათ მიხაკოს ზნეობითი ტანჯვაც მიემატა სწავლაში უბედობას. Ორი ძალა სულ სხვა-და-სხვა გზას უჩვენებდნენ ყმაწვილს: რასაც ერთი ავტორიტეტი თეთრს, მაღალს, ძვირფასს უწოდებდა, იმას მეორე ავტორიტეტი გმობდა, ტალახს ურევდა; რისთვისაც ერთს თავის მსხვერპლათ შეწირვა არ ეშურვებოდა, მეორეს—მძიმე დანაშაულებათ მიაჩნდა.

Ამ მდგომარეობაში ყმაწვილი იმ ავტორიტეტისაკენ მიეპყრობოდა, რომელიც უფრო ეთანხმებოდა მისს გულის-ხმას; მაგრამ საუბედუროდ, კისერი უნდა მოედრიკა მეორე ავტორიტეტის წინაშე; ამ ნაირათ ის იძულებული იყო ეორპირა რაოდენიმე თვეების განმავალობაში. Ამაზე უარესი მდგომარეობა წარმოსადგენი და შესაძლებელია?

მართლაც, მიხაკოს მდგომარეობა საშინელი იყო; ცხოვრებაც ხშირათ მაშინ იწყება, როდესაც ახალგაზრდობის ხეს პირველი ფოთლები დასცვინდება; მიხაკოსთვის კი სიცოცხლის განსაცდელი: ზნეობითი ტანჯვა, იდუმალი ჯავრი, მწუხარება, უნაყოფო შრომა, ბრძოლა დაბრკოლებაებთან, უიმედობა მომავალში დაიწყო ერთობ ადრე—თერთმეტი წლიდგან. Იმის სუსტ აგებულებას არ შეეძლო ამ ტვირთის ატანა.

გადიოდნენ დღეები, კვირეები, ყმაწვილი სწავლას უმატებდა, მაგრამ ნაყოფი კი არა მოჩანდა-რა. Დედის ტკბილი წერილები კი უფრო უმძიმებდნენ ამ ტვირთს.

„Ღმერთმა დიდი ნიჭი მოგცა, საყვარელო შვილო, სწერდა დედა შვილს, და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს იმედს გაამართლებ, გულს გამიხარებ და მამულის სასარგებლო შვილი შეიქნები.“

Ამისთანა წერილი რომ მიიღო მიხაკომ, მეცა ხელში, დაიწყო ქვითინი და წამოიძახა:

„რა ვქნა, რას მოვკიდო ხელი“?

Და მართლაც რა ექნა? Განა შეეძლო მას შეეცვალა თავის ბუნება, როდესაც ღმერთს არ მიუცია მისთვის ნიჭი ენების შესასწავლელად და ნემეცური კილოს გამოსათქმელად?

(გაგრძელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინეთს) და ესწრებიან მინისტრების რჩევის სხდომას. უმაღლეს მოხელეთ ადგილი უჭირავთ: ლორდ—ობერ-კამერგერად (სეფეთ-უხუცესად) არის გრაფ ქენმერი; ღენერალ-ფოშტმეისტრად—ბ. ფოუსეტი; შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად—ბ. არტურ პილი; საზოგადო მუშაობის მინისტრად—ბ. ადამი; გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად—ჩარლზ დილკი; ახალშენთა საქმეების მინისტრის ამხანაგად—ბ. გრანტ-დიფფი; ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგად—მარკიზ ლენსდოუნ; სამხედრო მინისტრის ამხანაგად — გრაფ მორლეი; ლორდ ადვოკატად—ბ. ფარრარ ჰერშელლი; ღენერალ პროკურორად—სერ ჰენრი ჯემსი და ინდოეთის ვიცეკოროლად (მეფის მოადგილედ) მარკიზ რიპონი.

# განცხადებანი

—

**ტფილისის სავაჟო გიმნაზიის** გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ გიმნაზიის პანსიონში გახსნილს ორს ვაკანციაზე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთათვის განყოფილებაში, მოიწვევიან ეგზამენისათვის შემდეგი მორიგი კანდიდატები: 1) **ალექსანდრე გედევანოვი,** შვილი აზნაურ ნიკოლოზ გედევანოვისა, სოფელს კორდს, გორის მაზრაში მცხოვრებისა და 2) **მიხეილ ფალავანდოვი,** შვილი თავად დარისპან ფალავანდოვისა, გორისავე მაზრაში სოფელს წერონისში მცხოვრებისა.

თუ ეს პირნი სამის თვის განმავალობაში არ გამოცხადდნენ გიმნაზიაში ეგზამენიის დასაჭერად და ამასთანავე არც შესაწყნარებელი მიზეზები წარმოადგინეს ამ შემთხვევაში კანდიდატს ერთმევა უფლება სახელმწიფო ხარჯით პანსიონში მიღებისა.

(3—1)

# ზენგერი ნიუ-იორკში

უველაზედ უდიდესი საზოგადოება საკერავი მაშინებისა, მთელს ქვეყანაში ცნობილი მაგარის და მშვენიერად გამართულის მაშინებითა, რომელნიც გამოსადეგნი არიან როგორც შინაურს საკერავ მუშაობაში, აგრეთვე მასტერსკაებში. ეს მაშინები ყველა სხვა ფაბრიკანტების მაშინებსა სჯობიან ზენგერის საზოგადოებამ აჭრილის თვიდამ როგორც სხვა ქალაქებში, ისე თფილისშიაც გახსნა საკერავი მაშინების მაღაზია (სკალადი) ატამანის ქუჩაზე, ერევნის მაედანის მახლობლად, ზუბალოვის სახლებში.

ვინც ამ მაშინის მოხმარება არ იცის, აქვე მუქთად ვასწავლით.

აქვე გაფუჭებული მაშინები მიიღება გასაკეთებლად.

საზოგადოების აგენტი სთხოვს კერძო პირთ და აგრეთვე იმ მაღაზიების პატრონებს, რომელნიც საკერავ მაშინებით ვაჭრობენ, ნუ შესცდებიან და ნუ იყიდიან სხვა ფაბრიკანტების მაშინებს, რომელთაც ზინგერის ფირმა მიითვისეს.

# ქალაქის გარეშე მცხოვრებთ

პრეის-კურანტის (მაშინების სიის და ფასების) მისაღებად შეუძლიანთ თფილისში მოიწერონ წერილი აგენტი მუქთად გაუგზავნის ამათ დაუყოვნებლივ პრეის-კურანტსაც და პასუხსაც იმ ენაზედ, რა ენაზედაც წიგნი იქნება მოწერილი.

# აგენტისს ადრესი

Г. Нейдлингеръ. Тифлисъ. უმთავრესი აგენტი რუსეთისა და დასავლეთ ევროპისა.

(3—1)

5 მაისს, თფილისის საქალებო წმ. ნინოს ზავედენიის დაარსების დღეს, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხი გარდაიხდის ლიტურგიასა და პანაშვიდს მიცვალებულის უბრწყინვალესის კნიაგინის **ელისაბედ ქსავერის ასულის ვორონცოვისათვის.** წმ. ნინოს ქველმოქმედ საზოგადოების რჩევა აცნობებს ამას საზოგადოების წევრთა და წმ. ნინოს ზავედენიეში მოსამსახურე პირთა და სთხოვს მიცვალებულის სახსოვრის პატივის-ცემის მსურველთ მობრძანდნენ წმ. ნინოს ზავედენიის ეკკლესიაში.

ლიტურგია დილის 8 საათზე დაიწყება.

(2—1)

**დირექტორი ტფილისის სავაჟო გიმნაზიისა** ამით აცხადებს, რომ მორიგ კანდიდატებში ჩარიცხულნი ამავე გიმნაზიის პანსიონში მისაღებად ტფილისის გუბერნიის აზნაურების შვილები: 1) **ილია უზნაძე,** შვილი პოდპოლკოვნიკის ქვრივის ეკატერინე უზნაძისა გორის მაზრის, სოფელს ცხინვალში მცხოვრებისა და 2 **ვასილ ზავაროვი,** შვილი სოფელს ინაგეტში ლორის საპრისტავოში მცხოვრებისა მელიქ მდივაროვ ზავაროვისა, თანახმად § 58 წესდებისა კავკასიის სამოსწავლებო ოლქის, კანდიდატები, სიის გარეთ დატოვებულ იქმნენ, და მათ მაგიერ შემდეგი კანდიდატები იქმნენ მოწვეულნი, პირველი იმიტომ, რომ ექზამენზე არ გამოცხადდა დადებულს 3 თვის განმავლობაში და მეორე—რადგანც იმისი საცხოვრებელი ადგილი ვერ მოიძებნა და ამასთანავე რადგანც თავისი საცხოვრებელი და სასწავლებელი ადგილი არ გვამცნო.

(3—1)

# ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა გამოიწვევს მსურველთ ქალაქის ფარნების იჯარით განათებისას; სულ 1,400 ფარანი უნდა გინათოს კერასინით ამ ივლისის თვის 4-დამ სამის წლის ვადით ვიდრე 1883 წლის 4 ივლისამდინ.

ვაჭრობა დაიწყება ამ იჯარისა იქნება მაისის 27-ს ქალაქის გამგეობის თანა-დასწრებით.

ვისაც ამ იჯარის აღებაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, დაწვრილებით პირობების (კანდიციების) ნახვა შეუძლიანთ გამგეობის უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღე გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშვადღევის 2 საათამდინ.

ვაჭრობა პირადათ შეიძლება და შეიძლება აგრეთვე, დაბეჭდილი კონვერტითაც გამოგზავნა პირობებისა.

(6—1)

### ივანე მოსეს ძე ბეჟუთოვი

რომელიც ჭურჭლეულით ვაჭრობს სომხის ბაზარში უმორჩილესად სთხოვს იმ პირს, რომელმაც საი წიგნი მოიწერა მისდამი ქალაქის ფოჩტით შეატყობინოს: სად უნდა გაუგზავნოს იმას პასუხი, რადგან წიგნები ხელ-მოუწერლად და უადრესოთ იყვნენ გამოგზავნილი.

ივ. მ. ბეჟუთოვი.

(2—1)

გამოვიდა და ისყიდება

### უმანკო პატარძალი

კომედია ალალო თუთაევისა.

თფილისში—ვართანოვის, გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და იაგორ ფირალოვის ჭურჭლეულის მაღაზიაში. ბათუმში—სტ. დავიდოვთან; ფოთში—ნიკ. ჯიჯიხიასთან; სამეგრელოში—იორდანე სიხარულიძესთან; ქუთაისში—იოსებ მ. მურადოვის წიგნის მაღაზიაში; გორში—ზაქარია დონდაროვთან; თელავში—მასწ. ქრისტეფორე ზარაფოვთან; სიღნაღში—მელქო შლამოვის მაღაზიაში და ცხინვალში—სუდის პრისტ. იოსებ ციციანოვთან; ალექსანდრაპოლს ალექსანდრე ტერ-აკოფოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე ავტორის კომედიები: „ცოლი ვიტირო თუ ფული?" და „მული რძალი და მაშენიკები"

(10—7)

მთავარი კანტორა

სავაჭრო სახლის

# იაგორ კასუმოვი და ამხ.

უცხადებს საზოგადოებას, რომ ვისაც ჰსურს იყიდოს **პირველი და მეორე შინაგანი სესხის მოგებიანი ბილეთები,** შეუძლიან მიმართოს ამ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები ისყიდება ძალიან კარგის პირობებით, მთელის წლის განმავალობაში ნაწილ-ნაწილად ფულის შემოტანით.

კანტორა თვითონაც ჰყიდულობს აგრეთვე ზემოხსენებულ შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებს.

უფრო დაწვრილებითი პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან სავაჭრო სახლის კანტორაში, ბანკის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლებში.

(10—2)

ბი 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-და-პირ კიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—20)

მაქვს პატივი ვაცნობო თფილისის ატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ სარქის განჯელოვის ღვინის სარდაფში, ერევნის მეიდანზე თ. არღუთინსკის სახლებში, თამამშევის ქარვასლის პირ-და-პირ, ისყიდება ნაკლებ ფასათ **ნამდვილი კახური ღვინო** თავის საკუთარ მამულისაგან.

**ფასი** თითო ბოთლისა სამი შაურიდამ ვიდრე მანეთამდინ.

**სარქის განჯელოვი.**

6—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 1 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი